

ეს რეგბია!

ფოტოეტიუდი ა. საკოვისა.

● ესტერსუნდი, 16 დეკემბერი. სათხილამურო სეზონის სტარტზე კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია შვედმა ლ. ბელინგმა, რომელმაც ყველაზე [illegible] გამართულ 18-კილომეტრიან რბოლაში — 56.14. პრიზიორთა სამეულში კიდევ 2 მასპინძელი შევიდა — რ. პერსონი (56.28) და ი. ჰალვარსონი (56.33). იტალიელთა შორის, რომლებიც ზამთრისთვის ემზადებიან შვეციის ჩრდილოეთში, საუკეთესო იყო პ. სერაფინი (მეხუთე შედეგი — 56.41).

● ლონდონი 16 დეკემბერი. მაგიდის ჩოგბურთის ინგლისელმა ოსტატებმა მორიგ გამარჯვებას მიაღწიეს ევროპული ლიგის პირველობის მატჩში — ამჯერად ანგარიშით 4:3 დაამარცხეს იუგოსლავიის ნაკრები.

● ვარშავა, 16 დეკემბერი. აქ გაიმართა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ევროპული კომიტეტის სხდომა, სადაც გადაწყდა ჩატარდეს კონტინენტის მოყვარულ ჩოგბურთელთა I ოფიციალური ჩემპიონატი 1969 წლის სექტემბერს იტალიაში. ამ შეჯიბრებაში ყოველი ქვეყანა 4 ქალსა და 4 ვაჟს გამოიყვანს. წყვილთა თანრიგში დუეტების შედგენა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებსაც შეუძლიათ.

● ოსლო, 16 დეკემბერი. ნორვეგიის დედაქალაქის მიდამოებში დიდი ინტერესი გამოიწვია მოთხილამურეთა ტრადიციულმა საერთაშორისო რბოლამ „ბოგსტად სპრინტმა“. 12-კილომეტრიანი ტრასა ყველაზე სწრაფად გაირბინა გრენობლის თეთრი ოლიმპიადის სათხილამურო ესტაფეტაში გამარჯვებული გუნდის წარმომადგენელმა, ნორვეგიელმა ო. მარტინსენმა — 26.16. II ადგილზე გავიდა მსოფლიოს სამჯის ჩემპიონი გ. ეგენი — 26.25, ხოლო III — ი. ჰარვიკენი — 26.28. ფინელთაგან საუკეთესო იყო კ. იოკარაინენი (VI ადგილი — 26.39), ხოლო შვედთაგან — ამავე დროით — ი. სანდსტრემი (VII ადგილი).

● რიო-დე-ჟანეირო, 16 დეკემბერი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელები ბრაზილიის ნაკრებთან მატჩში შესვენების შემდეგ გატანილი ორი გოლის წყალობით გადაურჩნენ წაგებას — 2:2. გოლების ავტორები არიან: მასპინძელთაგან — ედუ, სტუმართაგან — ჰელდი და გერვინი.

● სოფია, 16 დეკემბერი. საზღვაო მოდელიზმის ევროპულმა ფედერაციამ დაამტკიცა „ჩქაროსნული გლისერის“ კლასში ევროპის 2 რეკორდი ბულგარელი სპორტსმენებისა: გ. მიროვის მიღწევა, რომლის 5 კბ სმ მოცულობის ძრავიანმა მოდელმა საათში 150 კმ სისწრაფე განავითარა და ა. განჩევის რეკორდი. ამ უკანასკნელის 10 კბ სმ მოცულობის ძრავიანმა მოდელმა საათში 173 კმ 636 მ სისწრაფით ჩაიქროლა.

● ბუდაპეშტი, 16 დეკემბერი. უნგრელმა ჟურნალისტებმა წლის ბოლოს ტრადიციისამებრ თავიანთი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელეს. ეს წოდება წილად ხვდა „ფერენცვაროშის“ მცველს, 25 წლის ლ. ხიუჩს. ბუდაპეშტის ჟურნალის „ლაბდარუგაშის“ (ფეხბურთი) მიერ ჩატარებული ანკეტის მიხედვით შედგენილია უნგრეთის 1968 წლის სიმბოლური ნაკრები. მასში შევიდნენ: მეკარე ფატერი, მცველები — ნოვაკი, შოიმოში, სიუჩი და პანჩიჩი, ნახევარმცველები — გიორეჩი და ნოშკო, თავდამსხმელები — ფაზეკაში, ბენე, ალბერტი და ფარკაში.

● სოსნოვეცი, 16 დეკემბერი. პოლონეთის მოკრივეთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა მეორე გამარჯვება მოიპოვა ევროპის თასის ფინალურ შეჯიბრებებში. აქ მან დაამარცხა იტალიელები — 18:6.

● ერემბოდეკემი, 16 დეკემბერი. ბევრი მორბენალი უკვე შეუდგა ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას. სწორედ ამიტომ იყო, რომ ბელგიის ამ პატარა ქალაქის მიდამოებში გამართული საერთაშორისო კროსის სტარტზე ბევრი ვარსკვლავი გამოვიდა. ოლიმპიური ჩემპიონი მ. გამუდი (ტუნისი) მხოლოდ მესამე იყო 7-კილომეტრიანი დისტანციის ფინიშთან — იგი 100 მეტრზე მეტით ჩამორჩა გამარჯვებულს. გამარჯვებული კი „უიღბლო მექსიკელი“ გახლდათ — მსოფლიო რეკორდსმენი გ. რულანტსი (ბელგია).

## ვინ მიიღებს პრიზებს?

მოსკოვი, 17 დეკემბერი. დღეს აქ დაიწყო ექვსი ქვეყნის ხელბურთელ ქალთა ნაკრები გუნდების ტურნირი. „ამ ტურნირს ჩვენ ვაფასებთ, როგორც მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატს“, — თქვა საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისთვის გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. მიხაილოვმა. მან წარმატება უსურვა ტურნირის მონაწილეებს, რომელთაც ელით არა მარტო საინტერესო ასპარეზობა, არამედ მნიშვნელოვანი კულტურული პროგრამაც.

ტურნირში გამოვლენ უნგრეთის (მსოფლიო ჩემპიონი), რუმინეთის (მსოფლიოს ექს-ჩემპიონი), გდრ-ის, პოლონეთის, ბულგარეთისა და სსრ კავშირის გუნდები. სამი საუკეთესო გუნდისთვის დაწესებულია ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. გამარჯვებული მიიღებს ჟურნალ „ოგონიოკის“ პრიზს. დაწესებულია სპეციალური პრიზებიც, კერძოდ: ტურნირის საუკეთესო ბომბარდირისთვის, ყველაზე ახალგაზრდა სპორტსმენისთვის, საუკეთესო მეკარისთვის. დასახელებული იქნება „მის ხელბურთიც“ — შეჯიბრების ყველაზე მომხიბლავი მონაწილე.

როგორც ცნობილია, დეკემბერში სსრ კავშირში უნდა ჩატარებულიყო ხელბურთელ ქალთა IV მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი. მაგრამ ამ ზაფხულს ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე თორმეტის წინააღმდეგ ცამეტი ხმით მოსკოვის ჩემპიონატი გააუქმეს... სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა ინტერესებისთვის, რომლებიც ხელმძღვანელებმა, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოსალოდნელი ექსცესებისგან“ დაიცვეს.

მაგრამ ცივი ომის მომხრენი ხელს ვერ შეუშლიან მეგობრულ სპორტულ კავშირს. სსრ კავშირის ხელბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა მოეწყო ქალთა საერთაშორისო ტურნირი მსოფლიოს უძლიერესი გუნდების მონაწილეობით. სწორედ ამ ტურნირს მიეცა სტარტი ლუჟნიკის სპორტის სასახლეში. მოსკოვის ტურნირის მონაწილენი არიან სოციალისტური ქვეყნების გუნდები, ქალთა ხელბურთის ლიდერები.

(საკდესი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 246 (3730)

1968 წ. 18 დეკემბერი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

## „საუკუნის რალის“ ფინიში

◆ სიდნეი, 17 დეკემბერი. დამთავრდა გიგანტური, 23-დღიანი ავტორალი მარშრუტით: ლონდონი — სიდნეი, რომელიც ინგლისურმა გაზეთმა „დეილი ექსპრესმა“ და ავსტრალიურმა „დეილი ტელეგრაფმა“ მოაწყვეს. გამარჯვებას ამ უაღრესად ძნელსა და საინტერესო შეჯიბრებაში მიაღწია ინგლისელთა ეკიპაჟმა — ენდრიუ კოუენმა, ბრაიან კოილმა და კოლინ მალკინმა. ეს სამეული თავიანთი ქვეყნის მანქანით „ჰილმენ ჰანტერით“ ასპარეზობდა. „საუკუნის რალის“ გამარჯვებულები მიიღებენ ფულად პრიზს — 10 ათას გირვანქა სტერლინგს. ინგლისელთა ტრიომ 50 საჯარიმო ქულა დააგროვა. II ადგილზე ასევე ინგლისელები არიან, რომლებიც ასევე სამამულო მანქანით („ბმკ-1800“) ასპარეზობდნენ. ეკიპაჟს, რომელსაც 56 საჯარიმო ქულა აქვს, მეთაურობდა პედი ჰოპკირკი. მესამე პრიზიორები გახდნენ ავსტრალიელები, რომელთაც იან ვოგენი ხელმძღვანელობდა. „ფორდ-ფალკონეთი“ მოასპარეზე ავსტრალიელებს 62 საჯარიმო ქულა აქვთ. 4 საბჭოთა „მოსკვიჩიდან“ ყველას აჯობა სერგეი ტენიშევისა და ვალენტინ კისლიხის (მოსკოვი) ეკიპაჟმა. მას 269 საჯარიმო ქულა დაუგროვდა და XX ადგილი დაიკავა. XXII ადგილზე არიან უნო აავა (ესტონეთი) და იური ლისოვსკი (მოსკოვი) — 358 საჯარიმო ქულა. 34-ე ადგილზეა მოსკოველების ვ. შჩაველევის, ე. ლავშიცისა და ვ. შიროჩენკოვის ეკიპაჟი — 942 საჯარიმო ქულა.

**დღეს**

საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართება „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს V კონფერენცია.

დასაწყისი 12 ს.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე 10 საათიდან.

„სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭო.

**20 დეკემბერს**

ხასტუმრო „ივერიის“ კონფერენც-დარბაზში გაიმართება სსრ კავშირის სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის პლენუმი.

დასაწყისი 10 ს.

## ფეხბურთის ტელეეკრანი — ბითუმად

მსოფლიოს 1970 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ტელეგადაცემათა განსაკუთრებული უფლება, როგორც ინგლისური გაზეთი „სანი“ გვატყობინებს, შეისყიდა მექსიკელმა მილიონერმა ემილიო აზკარაგამ. სამისოდ მან 675 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა — ზუსტად იმდენი, რამდენიც ფიფა-ს სახელით მას ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა სტენლი როუზმა მოსთხოვა.

ფიფა-ს მიაჩნია, რომ სახეირო გარიგება გააკეთა. 1966 წელს, როცა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ლონდონში მიმდინარეობდა, მას ხომ 30 სატელევიზიო ორგანიზაციასთან მოუხდა საქმის დაჭერა, რაც დიდი ხათაბალა იყო.

აზკარაგამ იცის თავისი საქმე — იგი წაგებული არ დარჩება. სხვადასხვა ქვეყნის სატელევიზიო კომპანიები მექსიკის ტურნირის წინ მოსალაპარაკებლად ხომ მას მიადგებიან, აზკარაგა კი, საეჭვოა, მეცენატის როლში რომ გამოვიდეს... იგი მფლობელია ლათინური და სამხრეთ ამერიკის უდიდესი სატელევიზიო კომპანიისა „ტელესისტემა მექსიკანო“. ამ სისტემას მექსიკაში 27 არხი აქვს, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში — 5. ამ მექსიკელ მილიონერს ეკუთვნის მეხიკოს საფეხბურთო სტადიონი „აცტეკი“, რომელიც 104.000 მაყურებელს იტევს და სადაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩები გაიმართება.

მაშ ასე: ტურნირამდე ჯერ კიდევ 2 წელიწადია, საქმოსნები კი უკვე შემოსავალს ანგარიშობენ...

## სპორტული საათი...

# სპარტაკელთა მიღწევები

„სპარტაკის" ქუთაისის საქალაქო საბჭოს კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საბჭოს თავმჯდომარე ჯ. კვიციანი.

მან ილაპარაკა საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობაზე და აღნიშნა, რომ მთელმა რიგმა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა სერიოზული წარმატებები მოიპოვეს მასობრივ მუშაობაში. მაგალითად, დაწინაურდნენ სამთო, სატყეო და ავტომექანიკური ტექნიკუმების ფიზკულტურული კოლექტივები.

საქალაქო საბჭომ გადაჭარბებით შეასრულა სპორტის ოსტატების, თანრიგოსნების, საზოგადოებრივი კადრების მომზადების ვალდებულებები. მომხსენებელმა დაასახელა მოწინავე მწვრთნელები, ფიზკულტურელები.

ჯ. კვიციანი დაწვრილებით შეჩერდა ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა გაერთიანებული ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობაზე. ამ ორგანიზაციებში 3000-ზე მეტი ფიზკულტურელია. კრივის, კალათბურთის, ფრენბურთის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის, ძალოსნობის, ტურიზმის სექციებს საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობენ ზ. ლიკლიკაძე, ა. წულუკიძე, ა. ბერამელაშვილი, რ. თოფურია. შესამჩნევად გამოცოცხლდა მუშაობა კავშირგაბმულობის კონტორის ფიზკულტურულ კოლექტივში.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. მ. მახარაძემ (სამთო ტექნიკუმის ფიზაღზრდის მასწავლებელი), ა. ბობოხიძემ (მოფარიკავეთა მწვრთნელი), ლ. ადეიშვილმა (კოოპერაციული სასწავლებლის ფიზაღზრდის მასწავლებელი) და სხვებმა ილაპარაკეს მუშაობის ნაკლოვან მხარეებზე. ითქვა, რომ ბევრ ფიზკულტურულ კოლექტივში სათანადო ყურადღება არ ექცევა გამაჯანსაღებელ მუშაობას, სპორტში ნაკლებად არიან ჩაბმული ქალები, მოიკოჭლებს სპორტის პროპაგანდა. მათ აღნიშნეს, რომ საჭიდაო დარბაზის გარდა სპარტაკელებს არც ერთი საკუთარი ბაზა არა აქვთ. ძალიან დაბალია საწყლოსნო სპორტის განვითარების დონე.

სარევიზიო კომისიის ანგარიშის მოსმენის შემდეგ კონფერენციამ აირჩია საზოგადოების საქალაქო საბჭოს, სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობანი. „სპარტაკის" ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ჯ. კვიციანი.

**ნ. შოთაძე.**

ქუთაისი.

# ნაკლიც ამხილეს

„განთიადის" ქუთაისის საქალაქო საბჭოს კონფერენციამ ამ დღეებში მოისმინა საზოგადოების თავმჯდომარის მ. ტურაბელიძის საანგარიშო მოხსენება.

— საანგარიშო პერიოდში ბევრი წარმატება გვაქვს მოპოვებული, — თქვა მომხსენებელმა. — 300-ზე მეტი განთიადელი ქალაქის, ხოლო 40-ზე მეტი — რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა. ქალთა I საქალაქო სპარტაკიადაში „განთიადი" პირველი იყო. გადაჭარბებით შევასრულეთ ოსტატების, თანრიგოსნების, ნიშნოსნების მომზადების გეგმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აბრეშუმის კომბინატში ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა სათანადო დონეზე დგას.

კარგი სპორტული ტრადიციები აქვს ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივს. საწარმოს დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ქარხანაში ფიზკულტურული საქმიანობა მაღალ დონეზე იდგეს. აქვთ კარგი დარბაზი, მოაწყვეს ხელბურთის მოედანი, შხაპები, გასახდელები.

შემდეგ მომხსენებელმა თქვა, რომ საავტომობილო ქარხნის სპორტკლუბ „კოლხიდაში" დღემდე ვერ მოხერხდა საცურაო აუზის აგება, ვერ მოაწყვეს მძლეოსნური ბილიკები, სუსტადაა განვითარებული ველოსპორტი, ცურვა. ამის შედეგია, რომ კლუბი ამ სახეობებში უხეიროდ გამოდის რესპუბლიკურ და საკავშირო ტურნირებში.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა — აბრეშუმკომბინატის ფიზკულტურული კოლექტივის უფროსმა ინსტრუქტორმა ვ. მიქაძემ, საავტომობილო ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ფხაკაძემ, ელექტრომექანიკური ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორმა ო. მოლჩანოვამ, მწვრთნელმა თ. ზოტოვამ და სხვებმა ილაპარაკეს ნაკლოვანებებზე საწარმოო ტანვარჯიშში, საწყლოსნო სპორტის განვითარებაში, სპორტული ბაზების სიმცირეზე...

სიტყვით გამოვიდა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ი. ბოჭორიძე.

კონფერენციამ აირჩია საზოგადოების საქალაქო საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობანი. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია მ. ტურაბელიძე.

**შ. ნიჟარაძე.**
**(ჩვენი კორ.).**

ქუთაისი.

## ანგარიშგება-არჩევნებზე

# ნდობა გამოუცხადეს

შედგა „განთიადის" გორის საქალაქო საბჭოს VI კონფერენცია. მოხსენებით გამოვიდა საბჭოს თავმჯდომარე ბ. კილაძე. „განთიადის" 4500-კაციან კოლექტივს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქალაქის სპორტულ ცხოვრებაში, ჯეროვანი ყურადღება ექცევა სპორტის მასობრიობას, კოლექტივების მარტივი ბაზებით უზრუნველყოფის საკითხს.

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ხუთწლიანი გეგმით „განთიადის" საქალაქო საბჭოს საანგარიშო პერიოდში უნდა მოემზადებინა 1 სპორტის ოსტატი, მომზადებულია 6. 80 კაცით გადააჭარბეს პირველთანრიგოსანთა მომზადების გეგმას. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 121 მეორეთანრიგოსნისა მომზადდა 233. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა სხვა თანრიგების, ნიშნოსნებისა და ფიზკულტურის საზოგადოებრივი კადრების მომზადების ვალდებულებებიც.

საქალაქო და რესპუბლიკურ ღონისძიებებში გორის „განთიადის" ათასობით სპორტსმენი მონაწილეობდა. ქალაქის ნაკრებში გამოდიოდნენ მსროლელები, მაგიდის ჩოგბურთელები, ველოსიპედისტები, მძლეოსნები, მოჭიდავეები. ბამბეულის კომბინატის წარმომადგენლებმა შარშან „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა მოიპოვეს ტურისტულ მრავალჭიდში, მძლეოსანთა ნაკრებმა კი III ადგილი დაისაკუთრა. ცენტრალური საბჭოს პირველობაში ფეიქარმა სამბისტებმა გუნდური II ადგილი დაიკავეს. პირად ჩათვლაში საზოგადოების ჩემპიონი გახდა გუნდის მწვრთნელი, სპორტის ოსტატი გ. ზაუტაშვილი. ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს „დილის" ფეხბურთელებმა...

მაგრამ განთიადელების მუშაობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ნაკლიც. საქალაქო საბჭომ დღემდე ვერ მოახერხა საწარმოო ტანვარჯიშის ფართოდ დანერგვა; ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სპორტულ სექციებში ქალთა ჩაბმას; დახურული სპორტული ბაზების მოწყობას.

კამათში მონაწილეობდნენ გ. ზაუტაშვილი (ბამბეულის კომბინატი), ვ. ჯანაშელი (ქარხანა „გორიხელსაწყო"), გ. როინიშვილი (სტადიონი), დ. ბედოშვილი (ბამბეულის კომბინატი). ამ უკანასკნელმა, რომელიც კომბინატის ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარეა, თქვა, რომ გაისად ფეიქრები მიიღებენ დარბაზს, საცურაო აუზს, დანერგავენ კრივს.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. გოდერძიშვილი.

კონფერენციამ მიიღო ღონისძიება შემდგომი მუშაობისთვის. „განთიადის" საქალაქო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს სპორტის ოსტატი მ. ახალბედაშვილი.

**ი. თევდორაშვილი.**
**(ჩვენი კორ.).**

გორი.

## რაიონებში სპ. ფრონტიდან

### ✦ საჩხერე

დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული საშემოდგომო სპარტაკიადა. ასპარეზობის პროგრამაში შედიოდა ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა და ჭადრაკი. საერთო გუნდურ ჩათვლაში საშუალო სკოლებს შორის I ადგილი მოიპოვა ჩიხის სკოლის კარგად მომზადებულმა ნაკრებმა. რვაწლიან სკოლებში საერთო გუნდური პირველობა მოძის სკოლის კოლექტივს ხვდა.

**ა. ანასაშვილი.**

### ✦ აბაშა

გაიმართა მოსწავლეთა რაიონული გუნდური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. ყველას აჯობა აბაშის 1-ლი საშუალო სკოლის ნაკრებმა.

* * *

დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კალათბურთში. გოგონებში უძლიერესნი იყვნენ ქალაქის 1-ლი საშუალო სკოლის წარმომადგენლები, ჭაბუკებში — მე-2 საშუალო სკოლის ნორჩი სპორტსმენები.

**რ. ზანტურია.**

### ✦ თერჯოლა

ადგილობრივი მექანიკური ქარხნის „ახალგაზრდები სპორტის დიდი მოყვარულები არიან. მათ საკუთარი ძალით მოაწყვეს ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები. ამ ქარხნის სპორტსმენები ხშირად მონაწილეობენ რაიონულ შეჯიბრებებში და ბევრჯერ საპრიზო ადგილზეც გასულან. წლეულს ფეხბურთელებმა რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს შორის პირველობა მოიპოვეს.

**ვ. კუტალაძე.**

### ✦ მაიაკოვსკი

ორ თვეს გრძელდებოდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადა, რომელიც ლენინის დაბადების 100 წლისთავსა და კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა. სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა ფეხბურთი, მძლეოსნობა, კალათბურთი და ფრენბურთი. საშუალო სკოლებს შორის საერთო გუნდური პირველობა მოიპოვა ე. ნინოშვილის სახელობის სკოლამ, რვაწლიან სკოლებში — მაიაკოვსკის სკოლის გუნდმა.

**რ. ენდელაძე,**
**ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.**

### ✦ წითელწყარო

სოფელ არბოშიკის მოჭადრაკემ თ. ბენაშვილმა რაიონის პირველობაში უძლიერესის სახელი მოიპოვა. II ადგილზეც არბოშიკელი თ. ბუზიაშვილი გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ არბოშიკელებმა ჩოგბურთელთა ასპარეზობაშიც იმარჯვეს: II ადგილი დაიკავეს.

**გ. კაკალაშვილი.**

### ✦ თელავი

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის გარდამავალ თასზე ფეხბურთელთა შეჯიბრების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თასის შარშანდელი მფლობელის — „თელავგაზისა" და წინანდლის საბჭოთა მეურნეობის გუნდები. გაიმარჯვეს „თელავგაზის" წარმომადგენლებმა და თასიც შეინარჩუნეს.

**გ. ელიოზიშვილი.**

# ჩვენ გვჭერა მისი

ორჯონიკიძეში რამდენიმე დღეს დავრჩი და არც ვნანობ. ნორჩ ფეხბურთელებს, რომლებსაც თქვენ ამ სურათზე ხედავთ, წლევანდელი სეზონი მეტად ადრე დაუმთავრებიათ, მაგრამ ამას არ სწუხან. მიზეზი? აი, რა გვითხრა პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა შოთა ჯოგლიძემ.

— ფეხბურთელებს სტადიონი გაზაფხულზევე „წავართვით" და სამშენებლო მოედნად გადავაქციეთ: დავიწყეთ „ჯანმრთელობის საამქროს" ახალი სპორტული ბაზების აგება. შ. თოდაძის პროექტით აქ აშენდება 8 დარბაზი, სტადიონი, საცურაო აუზი... პროექტი დროულად მივიღეთ და მუშაობაც გაიშალა. პარტიის რაიკომი ნამდვილ სპორტულ შტაბად გადაიქცა. დასაწყისში გაგვიჭირდა კიდეც, მაგრამ რაიონის ფიზკულტურელთა 10-ათასიანმა არმიამ თავისი გაიტანა და ახლა, როგორც ხედავთ, დარბაზის კონტურები უკვე გამოისახა (მეორე სურათი). სპორტული ბაზების მშენებლობაზე ყველა გულმოდგინედ შრომობს. დავასახელებ რამდენიმეს. შ. შარიქაძემ ამ სტადიონზე აიდგა ფეხი. ახლა პირველთანრიგოსანი ფეხბურთელია. ამიტომაც მშენებლობა მას თავის სისხლხორცეულ საქმედ მიაჩნია, მებეტონედ მუშაობს, მაგრამ, თუ საჭიროა, სხვა საქმეშიც ეხმარება მშენებლებს. უნდა დავასახელოთ მუშა სპორტსმენები ა. ბერიძე, ბ. ლომიძე, გ. კვინიკაძე, თ. ჭიპაშვილი, ა. მაღლაფერიძე, კოლმეურნე სპორტსმენები რ. მაღრაძე, გ. მდინარაძე, მ. ფერაძე და სხვანი.

აქვე უნდა ვთქვათ: რაიონის ფიზკულტურულ კოლექტივებში ვადამდე და გადაჭარბებით შესრულდა ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმა-ვალდებულება: მომზადდა 1 სპორტის ოსტატი, 1 ოსტატობის კანდიდატი, 8 პირველთანრიგოსანი და სხვა თანრიგების 648 სპორტსმენი.

— ახალი სპორტული ბაზა ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის ჩადგება მწყობრში. შემდეგ კი დაჩქარდება აუზისა და სტადიონის მშენებლობა. ერთი ხელის დაკვრით არაფერი კეთდება, — დაამთავრა რაიკომის მდივანმა.

ჩვენ გვჭერა მისი.

**ვ. ბუკინი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ორჯონიკიძე.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარჯვნივ — „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე ხელბურთელთა ამასწინანდელი საერთაშორისო ტურნირის ერთ-ერთი მომენტი საქართველოსა და პოლონეთის მატჩიდან; მარცხნივ — ასეც ხდება...

ფოტო მ. ზარგარიანისა და ვ. კოტიშევისა.

ფოტო თვალით



### სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ხორცშეუსხმელი სურვილი

თბილისი. სპორტის სასახლე. 16 დეკემბერი.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ვეფ (რიგა) 66:64 (29:30).

„ბურევესტნიკი“: კოვალენკო (19), მანაგაძე (18), ლომაძე (10), ბიჭიაშვილი (6), ლეჟავა (5), მაისურაძე (4), გლურჯიძე (4).

ვეფ-ი: იურგენსონი (16), ბოგდანოვიჩი (8), კრულსკისი (8), მოროზოვი (8), რუძიტისი (6), ოსისი (6), ჟივგურსი (4), იაუნზემესი (4), კაცენსი (4), ოშსი, ლუკაშევიჩი, ნაუჯუნსი.

მსაჯები: ხ. ხაჩატურიანი და ა. ნავასარდიანი (ორივე — ერევანი).

ამ გუნდების პირველი მატჩის შედეგი, ჩვენი ღრმა რწმენით, კანონიერი იყო. „ბურევესტნიკი“ ოდნავ უკეთ თამაშობდა თავდასხმაში, ოდნავ უფრო ძლიერი იყო დაცვაში, მას ცოტა ბედმაც გადმოხედა წყალობის თვალით და გამარჯვებაც მეტი რაღაა?

ლატვიელები, როგორც ჩანს, სხვაგვარად ფიქრობდნენ და ვინაიდან თბილისში ერთი მატჩის უფლება კიდევ ჰქონდათ დარჩენილი, თავიანთი სიმართლის დამტკიცება გამარჯვების გზით სცადეს. განზრახვა სავსებით გასაგებია, მით უმეტეს, რომ გამარჯვება სარევანშოდ განწყობილი გუნდის კანონიერი სურვილია. ვეფ-ის კატეგორიულმა განწყობამ სულ სხვა ელფერი მისცა მატჩს, რომელიც დაძაბულობით ერთი-ორად აღემატებოდა თავის წინამორბედს: 40 წუთის მანძილზე ძნელი სამარჩიელო იყო, ვის დარჩებოდა გამარჯვება. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მეტოქეები ერთმანეთის ღირსეული პარტნიორები აღმოჩნდნენ და ამდენად, მათ შორის დავა კი არ დამთავრდა, შეწყდა მხოლოდ.

ვეფ-მა მიზნის მისაღწევად მობილიზაცია უყო მთელს შემადგენლობას და ბრძოლის სხვადასხვა მონაკვეთზე თორმეტივე კალათბურთელი გამოსცადა. ესეც იმის მაჩვენებელია, რომ წინადღით დამარცხებული კოლექტივი მხოლოდ რევანშზე ფიქრობდა. თამაშის ტაქტიკური სქემა დარჩა იგივე, შესრულება კი უკეთესი, და ლატვიელებმა ბრძოლის პირველი ნახევარი მოიგეს კიდეც. „ბურევესტნიკისთვის“ ეს იყო მეტად უფერული წუთები. გუნდი ინერტულად და უხალისოდ თამაშობდა. ალბათ ამიტომაც, პირველი ქულა კოვალენკომ თავის კოლექტივს მხოლოდ მე-11 წუთზე მოუტანა.

შესვენების შემდეგ მასპინძლების თამაშს მეტი სიმწვავე და, ასე ვთქვათ, კატეგორიულობა დაეტყო. მთელი ძალით ამოქმედდნენ ლომაძე და, განსაკუთრებით, მანაგაძე. აი, სწორედ მათმა ზუსტმა ტყორცნებმა გადაწყვიტა საბოლოოდ შეხვედრის ბედი. ვეფ-ი ბოლომდე თავდაუზოგავად იბრძოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ამჯერადაც განწირული იყო. და მაინც, ამ წაგების მიუხედავად, ლატვიის საუკეთესო კოლექტივი თავისი ახალგაზრდული შემადგენლობით ერთობ საინტერესო გუნდად რჩება.

ნ. გუგუშვილი.

## სხვა შეხვედრები

*გაიმართა VI ტურის მატჩები.*

*რიგა. ადგილობრივი არმიელებისა და თბილისის „დინამოს“ ორთაბრძოლა ამჯერადაც სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა — 72:70. დინამოელებმა საჭირო ქულა დამატებითი ხუთწუთიანი ბრძოლის შემდეგ მოიპოვეს. პირველი ტაიმი რიგელებმა 12 ქულით მოიგეს (34:22) და თბილისელებმა მხოლოდ მე-40 წუთზე გაათანაბრეს ანგარიში — 65:65.*

*მოსკოვი. მართალია, კიევის არმიელებმა რევანშს მიაღწიეს, მაგრამ გამარჯვებას მათთვის მორალური კმაყოფილება არ მოუტანია. უფერული მატჩის პირველი ნახევარი სტუმრებმა მოიგეს კალათბურთისთვის უჩვეულო შედეგით — 27:15. მეტოქეები მაინცდამაინც დიდი შედეგიანობით არც შესვენების შემდეგ გამოირჩეოდნენ. ორივე გუნდი თამაშობდა „მკვდარ ზონას“, რაც, პირველ ყოვლისა, ანგარიშს დაეტყო — 56:42.*

*კიევი. რევანში აიღო „სტროიტელმაც“, რომელმაც დაამარცხა კაუნასის „ჟალგირისი“ — 81:75 (40:42).*

*ლენინგრადი. ადგილობრივმა „სპარტაკმა“ სძლია ტარტუს „კალევს“ — 87:64 (41:25).*

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 6 | 6 | 0 | 464—402 | 6 |
| „დინამო“ (თბილისი) | 6 | 5 | 1 | 463—425 | 5 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 6 | 5 | 1 | 443—411 | 5 |
| ასკ (კიევი) | 6 | 5 | 1 | 403—379 | 5 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 6 | 4 | 2 | 441—409 | 4 |
| ვეფ (რიგა) | 6 | 3 | 3 | 419—388 | 3 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 6 | 3 | 3 | 410—409 | 3 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 6 | 2 | 4 | 376—376 | 2 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 6 | 2 | 4 | 355—377 | 2 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 6 | 1 | 5 | 416—464 | 1 |
| ასკ (რიგა) | 6 | 0 | 6 | 404—461 | 0 |
| „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა) | 6 | 0 | 6 | 442—525 | 0 |

# ვ. ქარსელაძის მემორიალის პერიპეტიებიდან

### ჯილდო ლამაზი კომბინაციისთვის

მემორიალში გორელებმა ლამაზი კომბინაციისთვის სიგანგებო ჯილდო დააწესეს. სტარტზე ამ ჯილდოს პრეტენდენტი გახდა საქართველოს ჩემპიონი ბ. გურგენიძე, რომელმაც მოხდენილი კომბინაციით მოუგო სომხეთის ჩემპიონს ლ. გრიგორიანს.

**გურგენიძე — გრიგორიანი**

ფრანგული დაცვა

**1. e4 e6 2. მc3 d5 3. მf3 მf6 4. e5 მfd7 5. d4 c5 6. კb5.**

ორიგინალური მანევრი, რომელიც ნაკლებადაა შესწავლილი.

**6. ... a6 7. კ:d7+ კ:d7 8. კe3.**

ძლიერი სვლა. შავებმა უნდა გამოააშკარაონ, როგორ აპირებენ ცენტრში თამაშს. გრიგორიანი ცენტრალური პაიკის მოგებას ამჯობინებს.

**8. ... მc6 9. dc ლc7 10. 0—0 მ:e5 11. ეe1 f6**

იძულებითია, რადგან მხედრის წაყვანა მხოლოდ თეთრებისთვის იქნებოდა ხელსაყრელი.

**12. b4 a5.**

გრიგორიანი „ცეცხლს უკიდებს“ პოზიციას მაშინ, როცა თავისი მეფის თავშესაფარზე უნდა ეფიქრა. გურგენიძის კარგად განვითარებული ფიგურები თავს ესხმიან ცენტრში დაყოვნებულ შავ გვირგვინოსანს.

**13. კf4 ab 14. მ:e5 fe**



**15. მ:d5 ლ:c5**

აგებდა მხედრის აყვანა — 15. ... ed 16. კ:e5! მუქარით 17. კ:g7+ ან 17. კ:c7.

**16. ე:e5 0—0—0 17. მe7+!**

კომბინაციის გვირგვინი. თვითმკვლელობით მხედარი გზას ათავისუფლებს. თუ 17. ... ლ:e7, მაშინ 18. ეa5 და შავებს შამათისგან თავის დაღწევა ძვირად უჯდებათ. ამიტომ გრიგორიანი თმობს ლაზიერს ორ ფიგურაში. შავების პოზიცია მაინც წაგებულია. გურგენიძე ზუსტი თამაშით უპირატესობის რეალიზებას ახდენს.

**16. ... კ:e7 17. ე:c5+ კ:c5 18. ლh5 კd4 19. ლa5 e5 20. კ:e5 კ:e5 21. ლ:e5 კc6 22. ლf5+ ეd7 23. a3 ba 24. ე:a3 ეhe8 25. ეa8+ მფc7 26. ლf4+ ეd6 27. ე:e8 კ:e8 28. h4 g6 29. ლe5 კc6 30. c4 b6 31. g4 კd7 32. f3 კe6 33. c5 bc 34. ლ:c5+ მფd7 35. ლa7+ მფe8 36. ლ:h7 კf7 37. ლh8+ მფe7 38. მფf2** და შავები დანებდნენ.

• • •

ორიოდე დღეც არ იყო გასული, რომ დიდოსტატმა მ. ტალმა გონებამახვილური შეტევით მოუგო კიეველ დიდოსტატ ე. გუფელდს. ამ პარტიამაც ყველას ყურადღება მიიქცია.

**ტალი — გუფელდი**

უფიმცევის დაცვა

**1. e4 d6 2. d4 მf6 3. მc3 g6 4. კg5 c6 5. ლd2 b5 6. კd3 კg7 7. მf3 h6 8. კe3 მg4 9. კf4 e5 10. de de 11. კg3 h5 12. h3 h4 13. hg hg 14. ე:h8+ კ:h8 14. ლh6 gf+ 15. მფe2! კf6.**

ტალმა გვაჩვენა, რომ აქ 15. ... ლf6-ზე ასე აპირებდა თამაშს: 16. კ:b5 cb 17. მd5 ლg7 18. მc7+ მფd8 19. ლd2+ მფ:c7 20. ლa5+ მფc6 21. a4 მძაფრი და გამანადგურებელი იერიშით.

**16. g5 კe7 17. ლh8+ კf8 18. ლ:e5+ კe6 19. მ:b5 cb 20. კ:b5+ მd7 21. ეd1 ლe7 22. ე:d7 კ:d7 23. კ:d7+ მფ:d7 24. ლd5+ მფc7 25. ლ:a8 ლc5.**

აი, სად გამოჩნდა თეთრების მე-15 სვლის მნიშვნელობა. ახლა ქიში ძალას შემატებდა თეთრებს: c2 პაიკს მოიგებდნენ.

**26. c3 ლc4+ 27. მფ:f2 კc5+ 28. მფg3 ლ:a2 29. ლd5 ლ:d5 30. ed მფd6 31. c4 კe3 32. b4 a6 33. მფg4 კc1 34. მe1 კe3 35. მd3 კd2 36. g3 მფc7 37. c5 მფd7 38. მe5+ მფc8 39. d6 კ:b4 40. d7+ მფc7 41. მc6 მფ:d7 42. მ:b4 a5 43. მd3.** შავები დანებდნენ.

ჟიურიმ ბ. გურგენიძის კომბინაცია მოიწონა, რადგან იგი კარგად იყო ჩაწნული პარტიის სტრატეგიულ ქარგაში. ჯილდოც მას გადაეცა.

### მიხარია, რომ ვცდებოდი

გორელები განსაკუთრებული გულისყურით ადევნებდნენ თვალს ნონა გაფრინდაშვილის თამაშს.

— რა დასამალია, რაღაც არ მჯეროდა, რომ საერთაშორისო ტურნირებში ნონა მართლაც ტოლს არ უდებდა გამოჩენილ ოსტატ ვაჟებს. მიხარია, რომ ვცდებოდი. გაფრინდაშვილმა მოგვხიბლა ყველა, — მითხრა ჭადრაკის დიდმა გულშემატკივარმა, ექიმმა ვასო კასრაძემ.

მსოფლიო ჩემპიონი თამამად უტევდა მეტოქეებს და მწვავე იერიშებს არ ეპუებოდა. მაგრამ 6 შეხვედრა მაინც ყაიმით დაამთავრა.

— ეს როგორ მოხდა, ნონა, ყაიმების მეფეს სალო ფლორს რომ დაედარე? — ვეხუმრე ჭადრაკის დედოფალს.

— განა უზილავასთან, ან გრიგორიანთან ყაიმი ფლორის სტილში თამაშია? — მიპასუხა ნონამ.

იგი მართალს ამბობდა. „განაწყენებული“ ვაჟები ჩემპიონს განსაკუთრებული მონდომებით ეპაექრებოდნენ. მხოლოდ ე. გუფელდმა გაიხარა. ისიც ცაიტნოტში, სადაც გაფრინდაშვილს ნახევარ წუთში ათამდე სვლა უნდა მოესწრო.

— ნონამ და საერთოდ ვახტანგ ქარსელაძის მემორიალმა დიდი სიხარული მოგვანიჭა გორელებს, — თქვა გორის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ლ. ხარატიშვილმა.

თ. გიორგაძე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

# წინაა „ბურევესტნიკი“

რიგა, 16 დეკემბერი (საკუთარი სპეც. კორ. ი. როხლინი). ოთხი ტურის შემდეგ საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ცხრილს სათავეში „ბურევესტნიკის“ გუნდი უდგას. ლიდერს 39 შესაძლებლიდან 26 ქულა აქვს.

ეს გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ გამოირკვა. დიდოსტატ ლ. პოლუგაევსკის („ბურევესტნიკი“) შეხვედრა ლიტველ ოსტატ ვ. მიკენასთან ამ დილით კიდევ ორ საათს გაგრძელდა. 58-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ. „ბურევესტნიკისა“ და „ჟალგირისის“ მატჩის ანგარიშია 6,5:2,5 (ერთი პარტია გადადებულია).

ლიდერს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება შეიარაღებული ძალების გუნდი. „ტრუდის“ მოჭადრაკეებთან მატჩი არმიელებმა მოიგეს დიდი ანგარიშით — 7:2 (ერთი პარტია გადაიდო). საერთაშორისო ოსტატ ვ. ოსნოსისა და მოსკოველ დიდოსტატ ე. ვასიუკოვის შეხვედრაში ლენინგრადელმა გაიმარჯვა. ეს მოხდა 27-ე სვლაზე.

შემდეგი 3 ადგილი ჩემპიონატის წამყვანი გუნდების კვინტეტში უჭირავს „ავანგარდს“ — 23,5 (1), „სპარტაკს“ — 22,5, „დაუგავას“ — 20 (1). მაგრამ ექვსმა ხელახლა გადადებულმა პარტიამ შეიძლება კიდევ მოახდინოს გავლენა ლიდერთა ჯგუფში ადგილების განაწილებაზე.

240 საჭადრაკო ორთაბრძოლა უკან დარჩა. შეჯიბრება გადამწყვეტ სტადიაში შედის.

# ბრუმელი ვარჯიშობს!



მოსკოვი, 17 დეკემბერი. (ჩვენი კორ.). საბჭოთა სპორტის მოყვარულებს დიდი ხანია აინტერესებთ, შეძლებს თუ არა ხარბიელზე დაბრუნებას მსოფლიოში სახელგანთქმული საბჭოთა მძლეოსანი ვალერი ბრუმელი, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინ ფეხის სერიოზული ტრავმა მიიღო. ამ უცაბედ შემთხვევას მოჰყვა მომქანცველი, იმედითა და შიშით, მოლოდინითა და ეჭვით აღსავსე მკურნალობა წლების განმავლობაში, ექვსი ოპერაცია, 36 თვე ყავარჯნებით სიარული...

ძნელი წარმოსადგენი როდია, რა გადაიტანა ამ ხნის მანძილზე სპორტსმენმა, როგორ ღელავდნენ მისი გულშემატკივრები. ბრუმელს ხომ უბედურება სწორედ მაშინ შეემთხვა, როცა სულაც არ აპირებდა დიდი სპორტიდან წასვლას, ახალი გეგმები ჰქონდა მომავლისთვის, ახალ მიღწევებს ელოდა. მაგრამ სპორტსმენმა გული არ გაიტეხა. ეს წლები ვაჟკაცურად გადაიტანა და იმედი არ დაუკარგავს. მან გადაწყვიტა კვლავ დაბრუნებოდა დიდ ასპარეზს და ეს გადაწყვეტილება უყოყმანო იყო.

ყველაზე მეტად ვალერი კურგანელ ქირურგს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს მ. ილიზაროვს უმადლის. სწორედ ილიზაროვმა გაუკეთა მას ბოლო ოპერაცია, რომლის შემდეგაც ვალერიმ პირველად გაიარა უყავარჯნოდ.

სპორტსმენმა თავისი გადაწყვეტილება შეასრულა: ამ დღეებში წვრთნა დაიწყო. ეს იყო პირველი საწვრთნელი მეცადინეობა ნორჩ პიონერთა სტადიონის მანეჟზე. ჯერჯერობით ბრუმელი ილიზაროვის გეგმით ვარჯიშობს. გეგმაში კი შედის კროსები, დარბაზში წვრთნა, მასაჟი, ტანვარჯიში, ცურვა. ახლა მისი მთავარი მიზანია, რომ მაისისთვის 100 მეტრი 12 წამში გაირბინოს. ხტომაში ვარჯიში უფრო გვიან დაიწყება და პირველი სიმაღლე 140-150 სანტიმეტრი იქნება.

ეჭვი არ არის, დიდი მონდომება, გულმოდგინე ვარჯიში და სწორი მკურნალობა თავისას გაიტანს: ბრუმელი ხარბიელს დაუბრუნდება.



სურათებზე: ვ. ბრუმელის პირველი საწვრთნელი მეცადინეობა.

ფოტო გ. დუბინსკისა.

# ორიენტირი - 1972

დონეცკის სპორტის სასახლე „შახტიორი“ ხუთ დღეს მასპინძლობდა ქვეყნის უძლიერეს ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეებს — ოლიმპიური რეზერვის გუნდის მესამე მატჩის მონაწილეებს. შეჯიბრებაში გამოდიოდნენ 16-18 წლის ქალები და ვაჟები 21 წლის ასაკამდე. მრავალჭიდში გაიმარჯვეს მოსკოველებმა ტ. ტიხონოვამ და მეხიკოს ოლიმპიური თამაშების მონაწილემ ვ. ილინიხმა. საერთო გუნდური პრიზი მოიპოვეს პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების ტანმოვარჯიშეებმა, II ადგილზე გავიდნენ დინამოელები, III — „ბურევესტნიკი“.

ამ შეჯიბრების მონაწილეთაგან საუკეთესოებმა უახლოეს მომავალში საბჭოთა სპორტის ღირსება უნდა დაიცვან საერთაშორისო ტურნირებში და შეიძლება 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებშიც.

როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს საბჭოთა ტანვარჯიშის რეზერვი? გთავაზობთ სპეციალისტების მოკლე კომენტარს.

სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. კერდემელიძე: „ჭაბუკთა შეჯიბრებამ მრავალჭიდში გვიჩვენა, რომ ილინიხისა და დანარჩენ მონაწილეთა კლასი ჯერ კიდევ საგრძნობლად განსხვავდება. სამაგიეროდ, ცალკეულ იარაღებზე უმაღლესი სირთულის ახალი ელემენტები გვიჩვენეს. შეიძლება აღვნიშნოთ როსტოველი ვ. პავლოვი (ბჯენითი ხტომები), მოსკოველი ნ. ხუროვი (ტაიჭზე ვარჯიში). ღირსზე რთული კომბინაცია შეასრულა მოსკოველმა ვ. ბოგდანოვმა“.

სპორტის დამსახურებული ოსტატი პ. ასტახოვა: „ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე ქალებმა გაგვახარეს რთული კომბინაციებით, შესრულების სიზუსტით, გრაციით. განსაკუთრებით კარგია თავისუფალი ვარჯიში, სადაც მუსიკა ორიგინალურად ერწყმის რთულ, აკრობატიკის ელემენტებით დატვირთულ კომპოზიციას. ვფიქრობ, სსრ კავშირის ქალთა ნაკრებს კარგი რეზერვი ჰყავს“.

სპორტული ტექნიკის სიახლენი

# მექანიკური სპარინგ-პარტნიორი

ადამიანის სიმაღლის ნაჭრის ფიტული ალბათ ხშირად გინახავთ სპორტულ დარბაზში, მოჭიდავეთა საწვრთნელი ვარჯიშის დროს. ამ მუდმივ სპარინგ-პარტნიორს უდრტვინველად გადააქვს მეტოქის ყველა შეტევა. მაგრამ ფიტულით მეცადინეობა მაინცდამაინც დიდ შედეგს არ იძლევა. ვარჯიში ცალმხრივი გამოდის, პარტნიორი თავს ვერ არიდებს სპორტსმენის იერიშს, ვერ ახერხებს წინააღმდეგობის გაწევას.

არა, დროით გამოცდილი ფიტულის „ღვაწლის“ დაკარგვა უსამართლობა იქნებოდა. შეგიძლია მის ირგვლივ იარო, შეგიძლია რამდენჯერაც გინდა, იმდენჯერ ასწიო და დააგდო. ახალბედა სპორტსმენისთვის ეს ხელსაყრელია. მაგრამ გადის დრო, იზრდება ოსტატობა და სპორტსმენს უკვე აღარ იზიდავს ხათამაშო სპარინგ-პარტნიორი, რადგან იგი მეტისმეტად მორჩილია.

მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის ფიზაღზრდის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა ს. სურიახინმა და სპორტის ოსტატმა ვ. ცირულნიკოვმა მიზნად დაისახეს შეექმნათ ფიტული, რომელსაც საპასუხო მოქმედების უნარი ექნებოდა.

დაიწყო ძიება. პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ნათლად წარმოედგინათ, რა თავდასაცავ მოქმედებას ასრულებს მეტოქე და შემდეგ ეს მექანიკის კანონებზე გადაეტანათ. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ბრძოლის რამდენიმე ცალკეული მომენტი ისე, როგორც ამას ალბეჭდავს, ვთქვათ, ფოტოაპარატი. აი, სპორტსმენები ერთმანეთს შეხვდნენ. გამოიკვეთა თავისებური სკულპტურული ჯგუფი. ცალკეული სკულპტურული ჯგუფები ერთმანეთისგან განსხვავდება არა მხოლოდ გარეგნულად, არამედ იმითაც, თუ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სადაა მოჭიდავეთა სიმძიმის ცენტრი.

კვლევამ გვიჩვენა, მეტოქის თავდაცვითი მოქმედება ბევრჯერ იმით მთავრდება, რომ ის, ვისაც უტევენ, საკუთარი სიმძიმის ცენტრს შემტევის სიმძიმის ცენტრის შესაბამისად გადაანაცვლებს. ამიტომ საჭირო იყო ისეთი ფიტულის შექმნა, რომელსაც ექნებოდა სიმძიმის ცენტრი, შეძლებდა მისი გადანაცვლების „შენიღბვას“ და გამეორებას.

გამომგონებლებმა გააკეთეს ფიტული, რომელიც მენჯ-ბარძაყის სახსრებში იხრება. მის სხეულს შეადგენს ორი დაახლოებით თანაბარი ნაწილი: ზედა (თავი, ხელები, ტანი) და ქვედა (ფეხები, საყრდენი). ეს ნაწილები სახსრითაა შეერთებული. ფიტულის ზედა ნაწილი ადვილად იხრება სპორტსმენისთვის სასურველ მხარეს. ფიტულის ყველა ნაწილი ბალისებურად დამზადებულია ქსოვილისგან, რომელიც ჩვრებითაა დატენილი. ფიტულის გულში მთელ სიგრძეზე ზევიდან ქვევით დამაგრებულია ერთმანეთში ჩადგმული ორი მილი. ზედა პოროლონითაა დაფარული. ნაკლები დიამეტრის მილში მოთავსებულია ტვირთი — მძიმე ორბირთულა.

საწყის მდგომარეობაში სპეციალური მექანიზმი ტვირთს ზედა ნაწილში (სახსართან) ამაგრებს, სიმძიმის ცენტრი კი სახსარს ცოტა ქვემოთაა. მაგრამ, როცა მოჭიდავე ილეთს ატარებს და სპარინგ-პარტნიორს იატაკიდან აიტაცებს, ფიტული „ცოცხლდება“, იგი თავს დაიძვრენს და ხალიჩაზე სპორტსმენი აღმოჩნდება.

რა ხდება?

როცა ფიტული იატაკს მოსწყდა, მის ქვედა ნაწილში მოთავსებულმა ბერკეტულმა მექანიზმმა ტვირთი გაათავისუფლა და იგი მილით ქვევით დაეშვა. ტვირთის გადანაცვლებამ მყისვე იმოქმედა მოჭიდავისა და მანეკენის საერთო სიმძიმის ცენტრის მდგომარეობაზე. ამიტომ სპარინგ-პარტნიორი თითქოს თავს არიდებს იერიშს. პირველი შთაბეჭდილება — მეტოქე უნდა დაიჭირო. მოჭიდავე ცდილობს ფიტულის ქვედა ნაწილი დაიჭიროს, მაგრამ ამ დროს მყისვე ხდება ცვლილება, რომლის გამოცნობაც წინასწარ შეუძლებელია. ტექნიკურად ეს სულ უბრალოდ აიხსნება: ტვირთის მდებარეობა განუწყვეტლივ იცვლება, რასაც ხელს უწყობს ფიტულის ზედა ნაწილის ბრუნვაც. სიმძიმის ცენტრის გამუდმებული ცვლა უსიცოცხლო მანეკენს მოძრაობისა და საპასუხო მოქმედების უნარს ანიჭებს.

ამ საინტერესო სიახლის ავტორთა (ახლახან ფიტულმა მიიღო საავტორო მოწმობა № 228574) და სპეციალისტთა აზრით, ეს თავისებური „ცოცხალი“ თოჯინა სპორტსმენებს დიდ დახმარებას გაუწევს სპორტული ბრძოლის ტექნიკის სრულყოფაში. ახალი მანეკენის ავტორებმა პირველებმა ხცადეს მოჭიდავის ძირითადი დამცველი მოქმედებების მოდელირება ბიომექანიკის პოზიციიდან.

ვ. ბუკოვი,
ინჟინერი.

# რისკალს მსხვერპლის გაღება არ დაჭირდა

„მე „ნეფტიანიკიდან“ არ წავალ, თუნდაც იგი უმაღლეს ლიგაში ვეღარც დარჩეს“, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ოლიმპიურმა ჩემპიონმა ინა რისკალმა უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ფრენბურთელ ქალთა ტურნირის წინ.

ეს ტურნირი ობნინსკში (კალუგის ოლქი) ტარდებოდა 13-15 დეკემბერს. რა თქმა უნდა, ინასა და მის მეგობრებს თავი არ დაუზოგავთ. ტურნირში „ნეფტიანიკთან“ ერთად მონაწილეობდნენ „სპარტაკი“ (ტაშკენტი), „დაუგავა“ (რიგა) და „დინამო“ (ვორონეჟი). გუნდებში იყო ოთხი ოლიმპიური ჩემპიონი: ბაქოელები რისკალი და ვ. ლანტრატოვა, სპარტაკელი ვ. გალუშკა და „დაუგავის“ ფრენბურთელი ტ. ვეინბერგა.

„ნეფტიანიკი“ მეტოქეებზე ბევრად ძლიერი აღმოჩნდა. რისკალმა და ვორონეჟელმა ნ. პატკინამ მიიღეს ტურნირის საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული სპეციალური პრიზები.

ვ. სტოიანოვი

# ფეხბურთის კულისებს მიღმა

## განთქმულ ფეხბურთელთა შავი დღეები

დაუკვირდით სპორტულ რეპორტიორთა ანკეტებს, რომლებსაც ისინი საკმაოდ ხშირად ატარებენ განთქმულ მწვრთნელებთან და ფეხბურთელებთან და დარწმუნებული იყავით, რომ იქ ყოველთვის ნახავთ ტრივიალურ შეკითხვას: „რომელია ყველაზე ღირსსახსოვარი და ბედნიერი სეზონი, მატჩი, ან ეპიზოდი თქვენი სპორტული ბიოგრაფიიდან?“

რა დასამალია, მეც ხშირად დავინტერესებულვარ ამ საკითხით, მაგრამ ერთხელ გადავწყვიტე მწვრთნელებისა და ფეხბურთელებისთვის მიმემართა სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის კითხვით. აი, ზოგიერთი მათგანის პასუხი:

გ. კაჩალინი: 1956 წელი, მელბურნი. მე მაშინ სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი ვიყავი და ჩვენი გუნდი ოლიმპიური ტურნირის ბრძოლაში იყო ჩაბმული. 29 ნოემბერს თამაში გვქონდა ინდონეზიის ნაკრებთან, რომელსაც არავითარი საფეხბურთო კულტურა არ გააჩნდა და ჩვენ 120 წუთის განმავლობაში ვერ შევძელით ერთი ბურთი მაინც გაგვეტანა ინდონეზიელთა ბადეში. 68-ჯერ დაარტყეს კარში ტატუშინმა, ისაევმა, სტრელცოვმა, სალნიკოვმა, რიჟკინმა, მაგრამ მიზანს ვერ იქნა და ვერ მივაღწიეთ.

ამის მსგავსი რამ ჩემს ცხოვრებაში არ მახსოვს.

ალ. სტაროსტინი: მე და ჩემი ძმები — ნიკოლოზი და ანდრეი ვთამაშობდით მოსკოვის „პრომკოოპერაციაში“, რომელსაც შემდგომში „სპარტაკი“ დაერქვა. აღარ მახსოვს, ვინ იყო ჩვენი მეტოქე მოსკოვის ჩემპიონატის მატჩში. არბიტრს ის-ის იყო უნდა მიეცა თამაშის დამთავრების ნიშანი და ამ ბოლო წუთის განმავლობაში მოწინააღმდეგე ფეხს არ იცვლიდა ჩვენი საჯარიმო მოედნიდან. გოლი ყოველ წამს იყო მოსალოდნელი და იგი მართლაც იქნა გატანილი, თუმცა მისი ავტორი იყო არა მეტოქე, არამედ ჩვენ თვითონ. კატასტროფის მიზეზი მე გახლდით. ჩავიგდე ბურთი, რაც ძალა და ღონე მქონდა დავარტყი და მოვახვედრე ჩვენივე კარის „ცხრიანში“.

ახლა იქნებ გაინტერესებთ, როგორი იყო ჩვენი ბიჭების რეაქცია ამ ბურთზე? სჯობს, ამაზე ნუ მალაპარაკებთ...

ბ. რაიტი (ინგლისელი ფეხბურთელი): 1954 წლის ნოემბერში ინგლისის „ვულვერჰემპტონმა“ თავის ქალაქში ანგარიშით 4:0 დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი“. ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ სპარტაკელებს ასევე იოლად გავუმკლავდებოდით მის მოედანზეც, მაგრამ მოსკოვში ჩვენ დავმარცხდით (0:2) და ამის შემდეგ თქვენ უფლება გაქვთ თქვათ: „ნუ დაიძახებ ჰოპ-ს, სანამ არ გადახტები“.

თქვენ გიკვირთ, საიდან ვიცი მე ეს რუსული ანდაზა? პირველად იგი მოვისმინე თქვენი რადიოკომენტატორის სინიავსკისგან, რომელიც ინგლისში ახლდა მოსკოვის დინამოელებს. მეორედ ეს ანდაზა მოსკოვში გამგზავრების წინ შემახსენა ჩემმა საუკეთესო მეგობარმა სტენლი მეტიუზმა. მან ეს სიტყვები გაიმეორა სწორედ მაშინ, როცა მოსკოვში გამგზავრების წინ „ვულვერჰემპტონის“ ფეხბურთელები ვლაპარაკობდით მოსკოვის „სპარტაკთან“ მოსალოდნელ იოლ გამარჯვებაზე.

ვ. ივანოვი. შავი დღეები ჩემს საფეხბურთო ცხოვრებაში საკმაოზე მეტი იყო, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება ის პენალტი, რომელიც ვერ გავიტანე კიევის „დინამოსთან“ მატჩში და ამით მოსკოვის ტორპედოელებს ოქროს მედლები დავუკარგე. ეს ამბავი მოხდა მოსკოვში, 1964 წლის გვიან შემოდგომით.

ა. ხომიჩი: ჩემი შავი დღე ისაა, როცა უკანასკნელად ვიცავდი მოსკოვის „დინამოს“ კარს. თუ ზუსტად გნებავთ, ესაა 1952 წლის 28 სექტემბერი. არ დაივიწყოთ ისიც, რომ ჩვენ მაშინ დავმარცხდით კიევის „დინამოსთან“ მშრალი ანგარიშით — 0:3.

ა. აკიმოვი: 1936 წლის 30 მაისს მოსკოვის „სპარტაკის“ კარს ვიცავდი ცდკა-სთან მატჩში და ვერ შევძელი კ. მალინინის მიერ დარტყმული იოლი პენალტის მოგერიება. სხვათა შორის, ეს იყო სსრ კავშირის პირველი ჩემპიონატის პირველი პენალტი.

პელე. სსრ კავშირის ნაკრებთან ლუჟნიკში ნათამაშევი მატჩის შემდეგ ბრაზილიელი ფეხბურთელები ბანკეტზე მიგვიწვიეს „მეტროპოლში“. ვახშმის დროს მომიახლოვდა ლამაზი გოგონა და მომაწოდა რუსული სუვენირი „მატრიოშკა“. სამშობლოდან გამომგზავრების წინ მეუღლემ დამაბარა აუცილებლად მეშოვა რუსეთში „მატრიოშკა“. მაგრამ ეს სუვენირი ახლაც არაა ჩემს სახლში. თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ მგზავრობისას სადღაც დამრჩა იგი, მე კი მგონია რომელიმე ჩვენმა ფეხბურთელმა „წაიყვანა“ ჩემი „მატრიოშკა“.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია იუწყება საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის ს. თორთლაძის დედის

**ალექსანდრა (საშა) ნიკოლოზის ასულ კეზევაძე-თორთლაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება 21 დეკემბერს, 16 საათზე, ბინიდან: ქუთაისი. ნინოშვილის ქ. № 2.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უგ 12088